

რუსთავის საერთაშორისო კარტინგის სერიის თასი 2019

(ღია ოფიციალური შეჯიბრება)

კლასებში:

მინი, სუპერ მინი, ოკეი - ჯუნior, ოკეი, კზ2, როტაქს მაქს,
როტაქს მაქს ჯუნior, როტაქს მიკრო, როტაქს მინი, DD2

შეჯიბრების რეგლამენტი

2019 წლის 02-03 თებერვალი

1. ზოგადი დებულებები

1.1. შეჯიბრება „რუსთავის საერთაშორისო კარტინგის სერიის თასი 2019“ არის ღია, არაკლასიფიცირებული, ტრადიციული შეჯიბრება, რომლის ორგანიზება და ჩატარება ეკისრება შეჯიბრების ორგანიზატორს - შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომს“ (შემდგომში „ორგანიზატორი“).

1.2. შეჯიბრების ჩატარების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის 2019 წლის შეჯიბრებების კალენდარი.

1.3. შეჯიბრების ორგანიზებისა და ჩატარების ნორმატიული დოკუმენტებია:

- სსსფ-ის სპორტული კოდექსი და მისი დანართები;
- სსსფ-ის ეროვნული სპორტული წესები კარტინგში;
- “კარტ“ ავტომობილების კლასიფიკაცია და ტექნიკური მოთხოვნები;
- შეჯიბრების მიმდინარე რეგლამენტი.

1.4. კინო - ვიდეო, ფოტო გადაღებების, ტელე - რადიო ტრანსლაციისა და პუბლიკაციების ყველა უფლება ეკუთვნის შეჯიბრების ორგანიზატორს.

2. ორგანიზატორი და შეჯიბრების ოფიციალური პირები

2.1. შეჯიბრების ორგანიზებას უზრუნველყოფს ორგანიზატორი - შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“.

2.2. ორგანიზატორი: შპს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“, გენერალური დირექტორი - ლელა კალანდია. ორგანიზატორის მისამართი: ქ.რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ-ის მიმდებარე ტერიტორია. ორგანიზატორის რეკვიზიტები: ს/კ 205228877; ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“. ბანკის კოდი: BAGAGE22; ანგარიშის ნომერი: GE31BG0000000226280300 ლარი/აშშ დოლარი/ევრო “საქართველოს ბანკი“). საკონტაქტო ტელეფონი: +995 558 000 242, ელ.ფოსტა: info@rim.ge, საიტი: www.rim.ge.

საკონტაქტო პირი: სპორტული კოორდინატორი - ხათუნა ჯულაყიძე

2.3. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე: **გამოცხადდება დამატებით**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები: **გამოცხადდება დამატებით**

შეჯიბრების მთავარი სამსაჯო კოლეგია - სსსფ-სთან შეთანხმებით

სპორტული კომისარი **გამოცხადდება დამატებით**

რბოლის ხელმძღვანელი **გამოცხადდება დამატებით**

უსაფრთხოებისა და მარშრუტის კომისარი **გამოცხადდება დამატებით**

მთავარი მდივანი **გამოცხადდება დამატებით**

მთავარი ქრომომეტრისტი **გამოცხადდება დამატებით**

ტექნიკური კომისარი **გამოცხადდება დამატებით**

შეჯიბრების მთავარი ექიმი **გამოცხადდება დამატებით**

შეჯიბრების დირექტორი **გამოცხადდება დამატებით**

2.4. ტრასის მომზადებასა და მომსახურებას, დოკუმენტაციის მომზადებას, სამედიცინო მომსახურებას, რეკლამას, საპრიზო ფონდს, მონაწილეების, მსაჯების მიღებას, დაბინავებასა

და გამგზავრებას, სამსაჯო კოლეგიის დაკომპლექტებასა და დაბინავება-კვების დღიურ ხარჯებს უზრუნველყოფს შეჯიბრების ორგანიზატორი.

3. ჩატარების ადგილი და დრო

3.1. ჩატარების თარიღი: 2019 წლის 02-03 თებერვალი

3.2. ჩატარების ადგილი:

ტრასა „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი“. ქ. რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ-ის მიმდებარე ტერიტორია.

4. შეჯიბრების მონაწილეები. მრბოლელები

4.1. შეჯიბრებაზე დაიშვებიან მონაწილეები, რომლებსაც ექნებათ მრბოლელის შესაბამისი ეროვნული ლიცენზია.

4.2. სასტარტო ნომრების მინიჭებისას პრიორიტეტი ეძლევა კარტინგში საქართველოს 2019 წლის თასის მონაწილე მრბოლელებს.

5. ჩათვლითი კლასები. ავტომობილები. საბურავები. საწვავი

5.1. შეჯიბრება ტარდება პირად ჩათვლაში, შემდეგ კლასებში: მინი, სუპერ მინი, ოკეი ჯუნიორ, ოკეი, კზ2, პიონერი, კადეტი, ეროვნული იუნიორი, ეროვნული, როტაქს მაქს, როტაქს მას ჯუნიორ, DD2, როტაქს მაქს მინი და როტაქს მაქს მიკრო.

5.2. მონაწილეებს უფლება აქვთ შეჯიბრებისათვის წარადგინონ ერთი შასი და ორი ძრავი.

5.3. მრბოლელებს ნებართვა ეძლევათ, სტარტებს შორის პერიოდში შეცვალონ ადრე გამოცხადებული და ტექნიკურ შემოწმებაზე გავლილი ძრავები.

5.4. ერთი და იგივე ძრავის ან შასის წარდგენა სხვადასხვა პილოტების მიერ, არ დაიშვება.

5.5. მრბოლელის სასტარტო ნომრები უნდა იყოს მითითებული წინა სარეგისტრაციო განაცხადში

5.6. საბურავები:

კლასში OK-Junior გამოიყენება საბურავები:

- "მშრალი" VEGA XH2, წინა 10,0/4,6-5, უკანა 11,0/7,1-5;
- "წვიმის" VEGA W5, წინა 10/4,2-5, უკანა 11/6,0-5.

კლასებში მინი და სუპერ-მინი, გამოიყენება საბურავები

- მშრალი" VEGA Mini, წინა 10,0/4,0-5, უკანა 11,0/5,0-5;
- "წვიმის" VEGA WE, წინა 10/4,00-5, უკანა 11/5,0-5.

კლასში KZ2:

- "მშრალი" VEGA MEDIUM XM Prime Z, წინა 10,0/4,6-5, უკანა 11,0/7,1-5;
- "მშრალი" VEGA XH2, წინა 10,0/4,6-5, უკანა 11,0/7,1-5;
- "წვიმის" VEGA W5, წინა 10/4,2-5, უკანა 11/6,0-5.

კლასში როტაქს მაქს ჯუნიორ:

- "მშრალი" MOJO D2, წინა 4,5/10,0 - 5, უკანა 7,1/11,0;
- "წვიმის" MOJO W3 – წინა 4,5/10,0 - 5, უკანა 7.1/11.0.

კლასში როტაქს მაქს:

- "მშრალი" MOJO D4 – წინა 4.5 / 10.0 - 5, უკანა 7,1/11,0-5;
- "წვიმის" MOJO W3 – წინა 4.5 / 10.0 - 5, უკანა 7,1/11,0-5.

5.7. კლასებში "როტაქს მაქს", „როტაქს მაქს ჯუნიორ“, გამოყენებული იქნება 2019-ის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი როტაქს მაქსის სერიის საბურავები.

5.8. შეჯიბრებაზე, პილოტებს უფლება აქვთ გამოიყენონ განსაზღვრული რაოდენობის საბურავები:

– "მშრალი" 2 წინა და 2 უკანა

– "წვიმის" 4 წინა და 4 უკანა

ეს შეზღუდვა მოქმედებს საკვალიფიკაციო, სანუგეშო, 1-ლი და მე-2 ფინალურ გარბენში.

5.9. შეჯიბრებაზე ნებადართულია ნახმარი საბურავების გამოყენება, რომლებიც შეძენილია ოფიციალურ მომწოდებელთან.

5.10. წვიმიან ამინდში რბოლის გამოცხადების შემთხვევაში, ყველა კლასში დაიშვება როგორც ახალი, ისე ოფიციალურ შეჯიბრებებში უკვე ნახმარი საბურავების გამოყენება. წვიმიან ამინდში გამოსაყენებელი საბურავების მონტაჟი და შენახვა წარმოებს დამოუკიდებლად, თვითონ მრბოლელების მიერ, პარკ-სადგომზე. კომპლექტების მარკირებას უზრუნველყოფს ტექნიკური კომისია .

5.11. შეჯიბრებაზე გამოყენებული საწვავი უნდა იყოს ორტაქტიანი ძრავების ბენზინისა და ზეთის ნარევი (CIK-FIA ნებადართული სიიდან).

- ბენზინისა და ზეთის ღირებულებას პირადად მრბოლელი უხდის მომწოდებელი კომპანიის წარმომადგენლებს. ბენზინისა და ზეთის ნარევის მომზადება და შენახვა წარმოებს დამოუკიდებლად, თვითონ მრბოლელის მიერ, პარკ-სადგომზე.
- საწვავის სახით გამოყენებისათვის ნებადართულია: *გამოცხადდება დამატებით*
- საწვავის ექსპრეს-კონტროლისათვის გამოიყენება ხელსაწყო SHATOX SX 300.
- საწვავის სინჯი შეიძლება აღებული იქნას შეჯიბრების ნებისმიერ მომენტში
- საწვავის ნიმუში ინახება ტექნიკური კომისიის მიერ
- თუ საწვავის აღებული სინჯის შემოწმებისას, ხელსაწყოს ჩვენება გამოდის +/-2 ერთეულის ფარგლებიდან ეტალონთან შედარებით, მრბოლელის შედეგი გაუქმდება

6. განაცხადები. განაცხადის შესატანი. ადმინისტრაციული კონტროლი

6.1. შეჯიბრებაზე მონაწილეობის განაცხადს მრბოლელები ავსებენ არაუგვიანეს 2019 წლის 01 თებერვალს, ორგანიზატორის სახელზე (იხ. ზემოთ). 2019 წლის კარტინგის შეჯიბრებაში მონაწილეობის განაცხადის ბლანკის შევსების ბმული: *გამოცხადდება დამატებით*

6.2. პარკ-სადგომზე განთავსების ნებართვის მისაღებად, ორგანიზატორს განაცხადი წარედგინება არაუგვიანეს 2019 წლის 27 იანვარს .

6.3. შეჯიბრებაში მონაწილეობის განაცხადის (სასტარტო) შესატანი გადაიხდება ნაღდი ფულით ორგანიზატორის სალაროში ან საკრედიტო ბარათით, ადმინისტრაციული კონტროლის გავლისას

6.4. სხვადასხვა კლასში მონაწილეობის შემთხვევაში, მრბოლელის განაცხადის (სასტარტო) შესატანი გადაიხდება თითოეული კლასში მონაწილეობისათვის.

6.5. განაცხადის (სასტარტო) შესატანის ოდენობაა 150 ლარი

6.6. შეჯიბრებისათვის TranX-260 (-160) დროის ამთვლელი სენსორის დაქირავების ღირებულება შეადგენს 40 ლარს.

6.7. განაცხადზე ხელმოწერით მონაწილე ადასტურებს, რომ იგი ეთანხმება შეჯიბრების პირობებს, ათავისუფლებს ორგანიზატორს შესაძლო ზარალისა და ზიანის პასუხისმგებლობისაგან, რომელიც შეიძლება შეჯიბრების მიმდინარეობისას მიადგეს

მრბოლელს, მონაწილეს და მის ქონებას, და ასევე პასუხისმგებლობისაგან ზარალსა და ზიანზე, რომელიც შეიძლება განმცხადებელის, მრბოლელის ან მესამე პირის მიერ მიაღვეს მის ქონებას.

6.8. განაცხადის შესატანი პილოტს სრულად უბრუნდება უკან შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ კანდიდატს უარი ეთქვა მონაწილეობაზე; ბ) თუ შეჯიბრება არ ჩატარდება.

6.9. ადმინისტრაციული და ტექნიკური შემოწმებები ტარდება ტრასაზე, განრიგის შესაბამისად.

6.10. ადმინისტრაციული შემოწმებისათვის, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- მრბოლელის ლიცენზია, განმცხადებლის ლიცენზია (არასრულწლოვანი მრბოლელის შემთხვევაში), კოლექტიური ლიცენზია (თუ განმცხადებელი არის იურიდიული პირი), მშობლების სანოტარო წესით დამოწმებული წერილობით თანხმობა (მოქმედების ვადის მითითებით) მათი შვილის მონაწილეობაზე საავტომობილო სპორტულ შეჯიბრებაში (თუ მონაწილის ასაკი 18 წელზე ნაკლებია);
- სადაზღვევო პოლისი (თუ ლიცენზია არ ითვალისწინებს);
- ძრავის პასპორტი (როტაქსის კლასებისათვის)

6.11. მონაწილეები და პილოტები, რომლებიც არ გაივლიან ადმინისტრაციულ შემოწმებას, შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.

6.12. შეჯიბრებაზე ყოფნის ყველა ხარჯს გასწევენ თვითონ მონაწილეები

7. ტრასა

7.1. ტრასის ლიცენზია:

7.2. შეჯიბრების დაწყების წინ, რბოლის ხელმძღვანელი ვალდებულია შეამოწმოს ტრასის მზადყოფნა შეჯიბრებისათვის და ტრასის პასპორტის შესაბამისობა. ასეთი შემოწმების შედეგების მიხედვით დგება და ხელმოიწერება ტრასის მიღების აქტი.

7.3. ტრასა აღჭურვილია ელექტრონული ქრონომეტრაჟის სისტემით TranX-260 (-160).

7.4. ტრასის კოორდინატებია: 41°34'00.6"N 44°56'58.6"E.

7.5. ტრასის აღწერა: სიგრძე - 1,333 მეტრი. მოძრაობის მიმართულება - საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო.

8. კლასიფიკაცია

8.1. შეჯიბრება ჩატარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ კლასში განაცხადს შემოიტანს არანაკლებ 5 მრბოლელი. თუ კლასში განაცხადი შემოიტანილი აქვს 5-ზე ნაკლებ პილოტს, ორგანიზატორი ინარჩუნებს უფლებას მოხსნას შეჯიბრებიდან ასეთი კლასი. ორგანიზატორს უფლება აქვს გააერთიანოს კლასები.

8.2. სტარტების დისტანცია კლასების მიხედვით:

კარტინგის კლასი	ჩასათვლელი დისტანცია	ჩასათვლელი წრეების რაოდენობა რბოლაში	კლასიფიკაციები
მინი (პაერილა), როტაქს მიკრო, როტაქს მინი	ფინალის დისტანცია არანაკლებ 10კმ	8 წრე	6 წრე
სუპერ მინი (პარილა)	ფინალის დისტანცია არანაკლებ 15კმ	12 წრე	9 წრე
ოკეი-ჯუნიორ, როტაქს მაქს-ჯუნიორ	ფინალის დისტანცია არანაკლებ 20კმ	16 წრე	12 წრე

რბოლებში პილოტების კლასიფიკაცია დგინდება ფინიშის ხაზის გადაკვეთის მიხედვით, მათ მიერ გავლილი წრეების რაოდენობის გათვალისწინებით. მხედველობაში მიიღება მხოლოდ სრული წრეები.

8.3. კლასიფიკაციაში ხვდებიან მხოლოდ ის პილოტები, რომლებიც გაივლიან ფინალური სტარტის დისტანციის მინიმუმ 75%-ს. ჩასათვლელი დისტანციის წრეების რაოდენობის გაანგარიშებისას, არასრული წრეები მრგვალდება მათემატიკური წესების შესაბამისად.

9. უსაფრთხოება

9.1. უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ორგანიზატორი და რბოლის ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია შეაჩეროს შეჯიბრება, თუკი საფრთხე შეექმნება მყურებლების, ოფიციალური პირების, მრბოლელების, განმცხადებლების, ან მათი პერსონალის სიცოცხლეს.

9.2. მხოლოდ ტრასა და ისიც მხოლოდ შეჯიბრების განრიგით გათვალისწინებულ დროს, შეიძლება იქნას გამოყენებული ვარჯიშებისა და რბოლებისათვის.

9.3. ავტომობილების განთავსება, კარვებისა და ტენტების გაშლა წარმოებს წარდგენილი განაცხადების მიხედვით.

9.4. პარკ-სადგომზე, თითოეულ კარავზე უნდა იყოს პატარა დაფა პილოტების გვარების, მათი სასტარტო ნომრებისა და კლასების მითითებით.

9.5. შეჯიბრების მთელ პერიოდში, პარკ-სადგომზე, თითოეული მრბოლელის კარავთან უნდა იყოს არანაკლებ 3 ლიტრი ტევადობის ცეცხლმაქრი. კარტის გადასატანი ურიკა-დგარი აღჭურვილი უნდა იყოს არანაკლებ 1 ლიტრი ტევადობის ცეცხლმაქრით.

9.6. პარკ-სადგომზე და შეჯიბრების ტრასაზე ღია ცეცხლის გამოყენება არ დაიშვება.

9.7. თამბაქოს მოწევა მკაცრადაა აკრძალული შეჯიბრების მთელ ტერიტორიაზე.

9.8. ნებისმიერ დროს ვარჯიშებისა და რბოლის პერიოდებში, შეჯიბრების მთელ ტერიტორიაზე იკრძალება ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება, ველოსიპედებით, მოპედებით და ა.შ.

9.9. სტუმრებისა და გუნდის წევრების ყოფნა წინასასტარტო ზონაში, არ დაიშვება.

9.10. „დახურულ პარკში“ დაიშვება მხოლოდ ერთი მექანიკოსი და მრბოლელი

10. შეჯიბრების შემადგენლობა და წინასწარი განრიგი

10.1. შეჯიბრება შედგება და ტარდება შემდეგნაირად:

2019 წლის 02 თებერვალი

09:00 - 17:00

17:00 - 18:00

2019 წლის 03 თებერვალი

08:00 – 08:30

08:35 – 08:55

09:00 – 11:30

თითოეული კლასში პირველი

ვარჯიშის შემდეგ

თავისუფალი ვარჯიშები კარტოდრომის განრიგით
ადმინისტრაციული შემოწმებები

ადმინისტრაციული კონტროლი

მრბოლელების ბრიფინგი

ოფიციალური ვარჯიშები

ტექნიკური დათვალიერება

11:45 – 13:00	კვალიფიკაცია
13:00 – 13:10	შეჯიბრების გახსნა
13.10 – 13:50	შესვენება (სიჩუმის რეჟიმი)
14:00 – 15:30	ფინალი 1
15:45 – 17:30	ფინალი 2
18:00	დაჯილდოება

11. ვარჯიშები

11.1. ვარჯიშები ტარდება კლასების მიხედვით, შეჯიბრების განრიგის შესაბამისად.

11.2. შეჯიბრების ტრასის გარე ტერიტორიის სავარჯიშოდ გამოყენება იწვევს დამრღვევის დაუყოვნებლივ მოხსნას შეჯიბრებიდან.

12. კვალიფიკაცია

12.1. კვალიფიკაცია ტარდება CIK-FIA წესების შესაბამისად. შეჯიბრების პერიოდში ტარდება ერთი სესია

12.2. კვალიფიკაცია შედგება 10-წუთინი სესიისგან. ერთ სესიაში, კარტების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ტრასაზე არ უნდა იყოს 36-ზე მეტი. ქრონომეტრაჟით იზომება მრბოლელების მიერ სესიის პერიოდში თითოეული წრის გავლის დრო. სესიაში მონაწილეობის დაწყებას მრბოლელი განსაზღვრავს დამოუკიდებლად.

12.3. თუ სესიის დროს მრბოლელი გაჩერდება ტრასაზე, გადავა ტრასიდან და შევა დახურულ პარკში ან სარემონტო ზონაში, იგი ვეღარ გააგრძელებს კვალიფიკაციაში მონაწილეობას.

12.4. მრბოლელის შედეგი განისაზღვრება სესიის ერთ-ერთი წრის გავლის საუკეთესო დროის მიხედვით. თუ მრბოლელს დაუფიქსირდათ ერთნაირი საუკეთესო დრო, ჩათვლით დროდ დაფიქსირდება მეორე საუკეთესო დრო.

12.5. ქრონომეტრაჟის სენსორის მწყობრიდან გამოსვლის ან დაკარგვის შემთხვევაში, მრბოლელის შედეგი კვალიფიკაციაში განისაზღვრება სისტემის მიერ დაფიქსირებული საუკეთესო წრის მიხედვით. ქრონომეტრაჟის სისტემის ჩვენებების დაფიქსირების არარსებობის შემთხვევაში, მიუხედავად ამისი მიზეზებისა, მრბოლელი დაიკავებს ბოლო ადგილს კვალიფიკაციის ოქმში .

13. სტარტი, ფინიში, რბოლის გაჩერება

13.1. სტარტის პროცედურის დაწყების მომენტიდან, (გასვლა გამახურებელ წრეზე) მრბოლელზე ვრცელდება რბოლის პირობები და ტრასის რომელ ადგილზეც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, მისთვის გარეშე დახმარების გაწევა აკრძალულია, კარტინგიდან ამოყვანისა და უსაფრთხო ადგილზე გაყვანის გარდა.

13.2. სტარტი კუ2 კლასში, იწყება ადგილიდან, სხვა კლასებში კი - მოძრაობით.

13.3. სასტარტო ბადეზე ავტომობილები განლაგდებიან სქემით 2-2-2, იქიდან გამომდინარე, რომ საკლასიფიკაციო სტარტში საუკეთესო შედეგის მქონე მრბოლელის კარტინგი, ადგილიდან სტარტის შემთხვევაში დგება მარცხნივ, მოძრაობიდან სტარტის შემთხვევაში კი მარჯვნივ, ტრასის პასპორტის მიხედვით.

13.4. ფინალურ სტარტებში სასტარტო სიგნალი გაიცემა შუქნიშნით, ვარჯიშებზე, საკონტროლო სტარტებსა და გასავარჯიშებელ წრეზე გასვლისას კი - მწვანე ალმით.

ტექნიკური მსაჯების პუნქტი (ალმებისა და დაფების ზონა) განთავსდება სტარტი-ფინიშის ზონაში.

13.5. საკვალიფიკაციო და ფინალური სტარტების დასრულების შემდეგ (ალმის საფინიშო აქნევის ან რბოლის დასრულების სიგნალის მიღების შემდეგ) თითოეული მრბოლელი ვალდებულია მდორედ შეამციროს სიჩქარე და ფინიშის გავლის წესის დარღვევის გარეშე გადავიდეს ტრასიდან დახურულ პარკში ტექნიკური კონტროლის გასავლელად, რომლის დაუცველობაც იწვევს მრბოლელის შედეგის გაუქმებას მოცემულ გარბენში.

13.6. რბოლების მიმდინარეობისას განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობისას, რომლებიც ხელს უშლიან რბოლის უსაფრთხო გაგრძელებას, მრბოლელებს შეიძლება მიეცეს გაჩერების ბრძანება. რბოლის ხელმძღვანელის მიერ გაჩერების სიგნალს წარმოადგენს წითელი ალამი, რომლის დანახვაზეც პილოტები ვალდებული არიან შეანელონ სიჩქარე და იმოძრაონ ტრასის მსაჯების სიგნალების მიხედვით, დახურული პარკისაკენ ან სასტარტო ზონისაკენ (რბოლის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით).

14. პენალიზაცია და ჯარიმები

14.1. მრბოლელები, რომლებიც დაშვებულნი არიან შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის, მაგრამ რბოლის ხელმძღვანელის შეხედულებით, არ არიან საკმარის დონეზე მომზადებულნი და შესაძლოა საფრთხე შეუქმნან სხვა მონაწილეებს, შეიძლება არ იქნან დაშვებულნი რბოლაზე სპორტული კომისრების კოლეგიის გადაწყვეტილებით.

14.2. პილოტების მხრიდან ნებისმიერი არასპორტული, თაღლითური ან არაღირსეული ქცევა ხდება სპორტული კომისრების კოლეგიის მსჯელობის საგანი, და კოლეგიას უფლება აქვს გამოიყენოს ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი სანქცია: ფულადი ჯარიმა, შეჯიბრებიდან მოხსნა, წარდგენა სსსფ-ში დისკვალიფიკაციაზე. შეჯიბრებიდან მოხსნის საბაზი, კერძოდ, შეიძლება იყოს მრბოლელის დისციპლინარული ხასიათის სამი გაფრთხილება რბოლის ხელმძღვანელის მიერ, ტრასაზე მოძრაობის წესების დარღვევა. ამას გარდა, პილოტები ჯარიმდებიან შემდეგი დარღვევებისათვის:

დარღვევა

ჯარიმა

განმცხადებლის ან მრბოლელის ლიცენზიის უქონლობა - უარი სტარტზე გასვლაზე

ტექ დათვალიერების გაუვლელიობა - უარი სტარტზე გასვლაზე

სამედიცინო ცნობისა და სადაზღვევო პოლისის უქონლობა - უარი სტარტზე გასვლაზე

სასტარტო შესატანის გადაუხდელობა - უარი სტარტზე გასვლაზე

ცეცხლმაქრის არქონა პარკ-სადგომზე - უარი სტარტზე გასვლაზე

ოფიციალური ვარჯიშის გაუვლელიობა - უარი სტარტზე გასვლაზე

მექანიკოსის ლიცენზიის უქონლობა - უარის თქმა მექანიკოსისათვის, მრბოლელისთვის მომსახურებაზე

სამი გაფრთხილება - შეჯიბრებიდან მოხსნა

უარი შეჯიბრების ოფიციალურ რეკლამაზე - ჯარიმა 300 ლარის ოდენობით

გამოუცხადებლობა პილოტებისა და წარმომადგენლობის შეკრებაზე - ჯარიმა 150 ლარის ოდენობით

თამბაქოს მოწევა დახურულ პარკში - გაფრთხილება + ჯარიმა 150 ლარის ოდენობით

დაგვიანება ტექნიკურ დათვალიერებაზე - ჯარიმა 150 ლარის ოდენობით

დაგვიანება სტარტის ფორმირებაზე - სტარტიდან მოხსნა

სტარტი მოძრაობისას - სასტარტო დერეფნის თეთრ ხაზზე გადავლა ან გადაკვეთა 2 ბორბლით, - დამატებითი 3 წამი რბოლის შედეგზე

სტარტი მოძრაობისას - სასტარტო დერეფნის თეთრი ხაზიდან გადასვლა 4 ბორბლით - დამატებითი 10 წამი რბოლის შედეგზე

ფალსტარტი ადგილიდან სტარტისას - დამატებითი 10 წამი რბოლის შედეგზე
მრბოლელების ქცევის წესების დარღვევა და მოძრაობა ტრასაზე - დამატებითი 3, 5, 10, 20 წამი რბოლის შედეგზე და მოხსნა სტარტიდან

წინა ზამპერის მდგომარეობის შეუსაბამობა CIK-FIA მოთხოვნებთან - დამატებითი 10 წამი რბოლის შედეგზე

წინა ზამპერის მდგომარეობის შეუსაბამობა CIK-FIA მოთხოვნებთან "მინი" და „სუპერ მინი“ აგრეთვე „რმ მიკრო“ და „რმ მინი“ კლასებში - დამატებითი 10 წამი რბოლის შედეგზე

წინა ზამპერის მდგომარეობის შეუსაბამობა CIK-FIA მოთხოვნებთან, კვალიფიკაციაში - მოცემულ კვალიფიკაციაში ნაჩვენები 3 საუკეთესო შედეგის გაუქმება

ტექნიკური კომისიის იარაღების დაზიანება ან უქონლობა - შეჯიბრებიდან მოხსნა

კლასიფიკაციის და ტექნიკური მოთხოვნების დარღვევა - სტარტის შედეგის გაუქმება

ძრავის მოუშზადებლობა ტექ. მოთხოვნის შესაბამისად - შეჯიბრების შედეგის გაუქმება და ერთ წლამდე დისკვალიფიკაცია

საბურავების გამოყენების წესის დარღვევა - გარბენის შედეგის გაუქმება

დაჯილდოების ცერემონიაზე გამოუცხადებლობა - პრიზების ჩამორთმევა

15. შედეგების განსაზღვრა

15.1. მრბოლელებს ქულები ენიჭებათ რბოლაში დაკავებული ადგილების მიხედვით, შემდეგი სისტემით:

1-ლი ადგილი 25 ქულა

მე-9 ადგილი 7 ქულა

მე-2 ადგილი 20 ქულა

მე-10 ადგილი 6 ქულა

მე-3 ადგილი 16 ქულა

მე-11 ადგილი 5 ქულა

მე-4 ადგილი 13 ქულა

მე-12 ადგილი 4 ქულა

მე-5 ადგილი 11 ქულა

მე-13 ადგილი 3 ქულა

მე-6 ადგილი 10 ქულა

მე-14 ადგილი 2 ქულა

მე-7 ადგილი 9 ქულა

მე-15 ადგილი 1 ქულა

მე-8 ადგილი 8 ქულა

მე-16 ადგილიდან და შემდეგ ქულები არ ირიცხება

15.2. სტარტების გაერთიანების შემთხვევაში, ჩათვლები იწერება ცალ-ცალკე, კლასების მიხედვით

15.3. შეჯიბრების გამარჯვებული ხდება მრბოლელი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს ფინალურ გარბენში.

15.4. თუ ფინალურ გარბენში ორი ან მეტი მრბოლელი დააგროვებს თანაბარ ქულას, უპირატესობა ენიჭება პილოტს, რომელსაც საუკეთესო შედეგი ჰქონდა მეორე ფინალურ გარბენში.

16. პროტესტები, აპელაციები

16.1. თითოეული პროტესტი წარედგინება სსსფ-ის მოთხოვნების შესაბამისად, ფულად შესატანთან (გირაოსთან) ერთად.

16.2. გირაოს თანხა პროტესტის წარდგენისას შეადგენს 300 ლარს. პროტესტის წარდგენისას, რომლის განხილვა საჭიროებს კარტის ნაწილების ან ძრავის დათვალიერებას, დემონტაჟს და დაშლას, პროტესტის წარმდგენი მონაწილე ვალდებულია, ძირითად გირაოსთან ერთად

შეიტანოს დამატებით 200 ლარი. თუ პროტესტი ითვალისწინებს კარტების შეჯიბრების მონაწილე რამდენიმე კარტის შემოწმებას ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, მაშინ პროტესტი წარედგინება თითოეული ასეთი კარტის მიმართ და პროტესტის თანმხლები გირაო მრავლდება „გაპროტესტებული“ კარტების რაოდენობაზე. თუ პროტესტი დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული, მაშინ დამატებითი გირაო მთლიანად გადაეცემა უსამართლოდ გაპროტესტებულ განმცხადებელს კარტის დაშლის ხარჯის საკომპენსაციოდ. პროტესტი არ შეიძლება წარდგენილი იქნას „მთლიანად“ კარტის (ძრავის) მიმართ. პროტესტში მიეთითება შესამოწმებელი კარტის (ძრავის) კონკრეტული პარამეტრები.

16.3. თუ პროტესტის წარმდგენი მონაწილე არ ეთანხმება სპორტული კომისრების კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს წარადგინოს აპელაცია სსსფ-ში

17. რეკლამა და შეჯიბრების გაშუქების უფლებები

17.1. შეჯიბრების მიმდინარეობისას შექმნილი კინო, ვიდეო- და ფოტოგადაღებების კომერციული გამოყენების ყველა უფლება ეკუთვნის შეჯიბრების ორგანიზატორს.

17.2. კომერციული ან სარეკლამო-პროპაგანდისტული ღონისძიებების (მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენების ჩათვლით), აგრეთვე ფურცლებისა და სხვა სარეკლამო და ნაბეჭდი პროდუქციის გავრცელება ორგანიზატორის წერილობითი ნებართვის გარეშე, აკრძალულია!

17.3. შეჯიბრების ტერიტორიაზე ვაჭრობა დაიშვება მხოლოდ ორგანიზატორის წერილობითი თანხმობით

17.4. მონაწილეს შეუძლია, მისთვის გამოყოფილ ადგილზე აღმართოს არაუმეტეს ოთხი დროშა გუნდისა და მისი სპონსორების ლოგოტიპებით. „ფლაგშტოკების“ სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 4 მეტრს

17.5. ოფიციალურ რბოლებში მონაწილე კარტებზე, სპეციალურად დათქმულ ადგილებში დატანილი უნდა იყოს ორგანიზატორის სავალდებულო რეკლამა

18. მონაწილეების დაჯილდოება

18.1. პილოტები, რომლებიც პირად ჩათვლაში თითოეულ კლასში დაიკავებენ 1-ლ, მე-2 და მე-3 ადგილებს, დაჯილდოვდებიან თასებითა და სიგელებით

18.2. ეტაპების ორგანიზატორებს შეუძლიათ დააწესონ დამატებითი პრიზები

19. რეგლამენტის ცვლილებები, დამატებები, განმარტება

19.1. მხოლოდ ორგანიზატორს აქვს უფლება, რომ შეიტანოს დაზუსტებები წინამდებარე რეგლამენტში საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციასთან შეთანხმების შემდეგ. მხოლოდ ორგანიზატორს აქვს უფლება, რომ შეიტანოს დაზუსტებები, ცვლილებები და დამატებები წინამდებარე რეგლამენტში რომლებიც გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით, უსაფრთხოების თვალსაზრისით ან სახელისუფლებო ორგანოების განკარგულებებით. ყველა ასეთი ცვლილების დამატების შესახებ მონაწილეებს ეცნობებათ ოფიციალური ბიულეტენების მეშვეობით და ისინი გამოცხადების მომენტიდან ხდებიან ამ რეგლამენტის განუყოფელი ნაწილი. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შედის და სრულდება დაუყოვნებლივ

20. წინამდებარე რეგლამენტი წარმოადგენს ოფიციალურ გამოცხადებას შეჯიბრებაზე

დანართი #1 შეჯიბრების რეგლამენტზე

წინასწარი განაცხადი პარკ-სადგომზე განთავსების ნებართვის შეთანხმებაზე

რუსთავის საერთაშორისო კარტინგის სერიის თასი 2019

ჩატარების თარიღი: 2019 წლის 02-03 თებერვალი

მონაწილე

ქალაქი

მრბოლელი 1

გვარი, სახელი

კარტების კლასი

სასტარტო ნომერი

კარავი

კარავის ზომა

რაოდენობა

ავტოტრანსპორტი

განაცხადის წარდგენის თარიღი _____

მონაწილის წარმომადგენელი _____